ხელშეკრულება № 60-7-112-212

ქ. თბილისი

2012 წ. 20.04.

მხარეები

1.1 წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია 2012 წლის 20 აპრილს ერთის მხრივ სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“, წარმოდგენილი მისი რეაბილიტაციის მმართველის სულხან ზუმბურიძის სახით (შემდგომში – ,,შემსყიდველი”) და მეორეს მხრივ შპს „KENERGI.INC“ (შემდგომში “მიმწოდებელი”) წარმოდგენილი მისი დირექტორის, კახა გიორგაძის სახით, რომლებიც მოქმედებენ საზოგადოების წესდებისა და მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

II.ხელშეკრულების საგანი

2.1. ,,მიმწოდებელი“ ვალდებულია ,,შემსყიდველს“ მიაწოდოს საქონელი დანართი №1-ის (ფასების ცხრილი) და დანართი №2-ის(ტექნიკური პირობა) შესაბამისად.

2.2 დანართი №1 და №2 წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

III.საქონლის ღირებულება და ანგარიშსწორების პირობები

3.1. საქონლის საერთო ღირებულება განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართი №1-ის (ფასების ცხრილი) შესაბამისად და შეადგენს **86250 (ოთხმოცდაექვსი ათას ორასორმოცდაათი) ლარს დღგ-ს ჩათვლით** (შემდგომში – ,,ხელშეკრულების ღირებულება“), საქონლის ღირებულება ითვალისწინებს ყველა ხარჯს, მათ შორის: საქონლის ტრანსპორტირების და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ხარჯებს ,,შემსყიდველის“ შემდეგ მისამართამდე: ქ.თბილისი, ქინძმარაულის ქუჩა №29, ''შემსყიდველის'' მატერიალურ ტექნიკური ბაზა.

3.2 ანგარიშსწორება განხორციელდება შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნით განსაზღვრული საქონლის სრულ მოცულობაზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

3.3 იმ შემთხვევაში თუ “მიმწოდებლის” მიერ მოთხოვნილი იქნა საავანსო გადახდა, “შემსყიდველი” “მიმწოდებელს” უხდის საავანსო თანხას (არაუმეტეს 50%-ისა) ,,მიმწოდებლის” მხრიდან შესაბამისი ოდენობის საბანკო გარანტიის (საბანკო გარანტია წარმოდგენილი უნდა იყოს კომერციული ბანკიდან) წარმოდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში. საბანკო გარანტია ძალაში უნდა იყოს ხელშეკრულების მოქმედების ვადაზე არანაკლებ 30 (ოცდაათი) დღით მეტი ვადით. საბოლოო ანგარიშსწორება განხორციელდება წერილობითი მოთხოვნით განსაზღვრულ საქონლის სრულ მოცულობაზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში. ავანსად გაცემული თანხა ჩაითვლება საბოლოო ანგარიშსწორებისას.

3.4 “მიმწოდებლის” მიერ ავანსის მოთხოვნის შემხვევაში “მიმწოდებელი” ვალდებულია შესაბამისი საბანკო გარანტია წარმოუდგინოს “შემსყიდველის” წერილობითი შეკვეთის მიღებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

3.5 "მიმწოდებლის" მიერ საავანსო თანხაზე საბანკო გარანტიის 3.4 პუნქტში მითითებულ ვადაში წარმოუდგენლობის შემთხვევაში "მიმწოდებლის" მხრიდან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადა აითვლება "შემსყიდველის" წერილობითი შეკვეთის მიღებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის შემდეგი დღიდან.

3.6 ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

IV. მხარეთა უფლება-მოვალეობები

4.1. "მიმწოდებელი" მოვალეა გადასცეს "შემსყიდველს" ნივთობრივად და უფლებრივი ნაკლისაგან თავისუფალი საქონელი **,,შემსყიდველის" წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან, ხოლო "მიმწოდებელის" მხრიდან ავანსის მოთხოვნის შემთხვევაში, ავანსის ჩარიცხვიდან 60 (სამოცი) კალენდარულ დღეში შემდეგ მისამართზე**: ქ. თბილისი, ქინძმარაულის ქუჩა №29, "შემსყიდველის მატერიალურ ტექნიკური ბაზა.

4.2. "შემსყიდველი" მოვალეა:

4.2.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების თანახმად გადაიხადოს მიწოდებული საქონლის ღირებულება;

4.2.2 შეამოწმოს საქონლის მდგომარეობა ვარგისიანობაზე;

4.2.3. წერილობით შეატყობინოს "მიმწოდებელს" მიღების ან ექსპლუატაციის დროს საქონელზე შემჩნეული ნაკლის აღმოჩენისთანავე.

V. გარანტია

5.1 "მიმწოდებელი" იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონელი მისი ექსპლუატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში, არ გამოავლენს დეფექტებს.

5.2. შესაბამისი ექსპლუატაციის პირობებში ,,მიმწოდებლის" მიერ მოწოდებულ საქონელზე საგარანტიო ვადა არის მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 3 (სამი) წელი.

5.3. საგარანტიო ვადის განმავლობაში თუ გამოვლინდება რაიმე ხარვეზი ან შეუსაბამობა, "მიმწოდებელი" ვალდებულია თავისი ხარჯებით გამოასწოროს ხარვეზი "შემსყიდველის" წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში, თუ ეს შეუძლებელია "მიმწოდებელმა" "შემსყიდველის" წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 60 (სამოცი) კალენდარული დღის განმავლობაში უნდა შეცვალოს საქონელი.

VI.მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1 ,,მიმწოდებლის" მიზეზით საქონლის დაგვიანებით მიწოდების შემთხვევაში, ,,მიმწოდებელი" მოვალეა გადაიხადოს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,1% ოდენობით ყოველ ვადა გადაცილებულ დღეზე ხარისხიანი საქონლის სრულად მიწოდების დღემდე.

6.2 ,,მიმწოდებლის" მიზეზით საქონლის არასრულად ან საერთოდ არ მიწოდების შემთხვევაში, ,,მიმწოდებელი" მოვალეა გადაიხადოს პირგასამტეხლო ხელშკერულების ღირებულების 0.1% ოდენობით ყოველ ვადა გადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების შესწყვეტის დღემდე.

6.3 ამ ხელშეკრულების 6.1 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლო "მიმწოდებელს" გადასახდელად დაერიცხება აგრეთვე იმ შემთხვევაში თუ "მიმწოდებელს" საქონელი უბრუნდება წუნდების ან ხარვეზის შემთხვევაში, წუნდებული ან ხარვეზიანი საქონლის მაგივრად ხარისხიანი საქონლის მიწოდების დღემდე. 6.1 და 6.2. პუნქტების მოქმედება ასევე ვრცელდება საგარანტიო პერიოდზე.

6.4 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ცალმხრივად შეუსრულებლობისათვის მხარეებს ეკისრებათ ვალდებულება აანაზღაურონ მიყენებული ზარალი სრული მოცულობით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ზარალის ანაზღაურება ან მისი მოთხოვნა არ აჩერებს ამ მუხლით გათვალისწინებულ პირგასამტეხლოს დარიცხვას.

6.5. ,,მიმწოდებლის“ მიერ ,,შემსყიდველისათვის“ საქონლის არ მოწოდების შემთხვევაში იგი ვალდებულია ,,შემსყიდველს“ ერთჯერადი ჯარიმის სახით გადაუხადოს თანხა 8600 (რვა ათას ექვსასი) ლარის ოდენობით.

6.6. ,,შემსყიდველი“ უფლებამოსილია ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურებისას გამოქვითოს (შეამციროს ანაზღაურება) ამ მუხლით გათვალისწინებული და "მიმწოდებელზე" დარიცხული პირგასამტეხლოს და ჯარიმის თანხა.

6.7 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის სრულად არშესყიდვის შემთხვევაში ,,შემსყიდველს“ პასუხისმგებლობა არ ეკისრება.

VII. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1 ,,შემსყიდველს“ ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი ,,მიმწოდებლის“ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

7.2 ,,შემსყიდველის“ მხრიდან ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს "შემსყიდველის" აღრიცხვის კვანძების აუდიტის და აღრიცხვის წრედების ტექნიკური მომსახურების განყოფილების უფროსი გიორგი ნაცვლიშვილი.

7.3 კონტროლი განხორციელდება მიწოდებული საქონლის ხარისხისა და მიწოდების ვადების შესაბამისობით ხელშეკრულების პირობებთან.

VIII. ფორს-მაჟორი

8.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

8.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მათ შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, ემბარგოს დაწესებით და სხვა. ფორს–მაჟორის არსებობის საკმარის დამადასტურებელ ცნობად მხარეები განიხილავენ შესაბამისი ქვეყნის სავაჭრო–სამრეწველო პალატის მიერ გაცემულ სათანადო ცნობას.

8.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების

შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

IX. ურთიერთობა მხარეებს შორის

9.1 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება ტელეფონით, დეპეშის ან ფაქსის გაგზავნის გზით.

9.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

X.ხელშეკრულების პირობების შეცვლა და/ან ვადამდე მოშლა

10.1 ამ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება და/ან დამატება შეიძლება შეტანილი იქნეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

10.2 შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა.

10.3. ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე მოიშალოს:

10.3.1. მხარეთა შეთანხმებით;

10.3.2. ერთ-ერთი მხარის განცხადებით მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების არსებითად დარღვევის შემთხვევაში;

10.4 ,,შემსყიდველს" შეუძლია ხელშეკრულება ვადამდე შეწყვიტოს:

10.4.1. თუ "შემსყიდველისათვის" ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

10.4.2. ,,მიმწოდებლის" გაკოტრების შემთხვევაში;

10.4.3 თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ "მიმწოდებლის" მიერ მოწოდებული ინფორმაცია ყალბი აღმოჩნდება;

10.4.4. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

10.5 ამ მუხლის 10.4 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში "შემსყიდველი" ვალდებულია აუნაზღაუროს "მიმწოდებელს" ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულება.

X I. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა

აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

11.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

XII. დავათა განხილვა

12.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა მოლაპარაკებების მეშვეობით, შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში მხარეები ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

XIII. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

13.1 საქონლის მოწოდებისას "შემსყიდველის" მიერ წინამდებარე ხელშეკრულების 7.2 ქვეპუნქტით განსაზღვრული პირები ამოწმებენ მოწოდებული საქონლის შესაბამისობას წინამდებარე ხელშეკრულების პირობებთან, ხარვეზების (წუნდების) არ არსებობის შემთხვევაში ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი ფაქტიურად მიღებული საქონლის მიხედვით ,,შემსყიდველსა" და ,,მიმწოდებელს" შორის.

13.2 საქონლის მიღების დროს აღმოჩენილი ხარვეზების (წუნდების) შემთხვევაში ,,შემსყიდველი" ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს ,,მიმწოდებელს" სათანადო ხარვეზების შესახებ (წუნდების არსი).

13.3. ,,მიმწოდებელი" ვალდებულია ხარვეზების (წუნდების) აღმოჩენის შემთხვევაში ,,შემსყიდველის" წერილობითი შეტყობინებიდან 20 (ოცი) კალენდარული დღის განმავლობაში თავისი ხარჯებით გამოასწოროს ხარვეზი, თუ ეს შეუძლებელია, ,,მიმწოდებელმა" ,,შემსყიდველის" წერილობითი შეტყობინებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში უნდა შეცვალოს საქონელი.

13.4 საქონელი მიღებულად ჩაითვლება მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისთანავე. მიღება-ჩაბარების გაფორმების შემდგომ პასუხისგებლობა საქონელზე გადადის შემსყიდველზე.

XIV. ხელშეკრულების მოქმედების ვადები

14.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა ამოწურულად ჩაითვლება მხარეებს შორის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს 2012 წლის 30 აგვისტოს ჩათვლით, ხოლო საგარანტიო ვალდებულებების ნაწილში საგარანტიო ვადის ბოლომდე.

XV. ხელშეკრულების სხვა პირობები

15.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და ყოველ მათგანს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

15.2 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელ შემთხვევებში, მხარეები მოქმედებენ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად.

15.3 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები შესასრულებლად სავალდებულოა მხარეთათვის და მათი შესაბამისი სამართალმემკვდრეებისა და უფლებამონაცვლეთათვის. დაუშვებელია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების გადაცემა სხვა მხარისათვის მეორე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.4 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას და არ უნდა მოხდეს მათი გამჟღავნება სხვა მხარისათვის, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

15.5 წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია 2012 წლის 24 იანვრის საქართველოს მთავრობის #28 დადგენილებით დამტკიცებული სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ ელექტროენერგიის გადაცემა-დისპეტჩერიზაციის შეუფერხებლად განხორციელებისათვის საჭირო საქონლის და მომსახურების შესყიდვის განხორციელების სპეციალური წესის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის შესაბამისად.

XVI. მხარეთა რეკვიზიტები

“შემსყიდველი”:	“მიმწოდებელი”:
სს `საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა''	შპს „KENERGI.INC“
ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. №2	ქ. თბილისი, 0119 ფანასკერტელის 19/10
ს/ს ,,საქართველოს ბანკი"	ს/ს ,,საქართველოს ბანკი"
ცენტრალური ფილიალი	ცენტრალური ფილიალი
საიდ. კოდი: 204995176	საიდ. კოდი: 404898768
ბანკის კოდი: BAGAGE 22	ბანკის კოდი: BAGAGE 22
ანგარიშის # GE56BG0000000283534100	ანგარიშის№ GE22BG0000000298153000
სულხან ზუმბურიძე	კახა გიორგაძე
მმართველთა საბჭოს თავმჯდომარე	დირექტორი

დანართი #1

ფასთა ცხრილი

#	საქონლის დასახელება	რაოდ. (მეტრი)	ერთ. ფასი (ლარი)	საერთო ფასი (ლარი)
1	ორმიმართულებიანი 0,5 კლასის ელექტრო მრიცხველი A1800AL-P4G-DW-4 ტექნიკური სპეციფიკაციის შესაბამისად	50	1 725	86 250
	სულ:			86 250

ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 86 250 (ოთხმოცდაექვსი ათას ორასორმოცდაათი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

შენიშვნა: მოწოდებული საქონლის საგარანტიო ვადაა 3 წელი.

“შემსყიდველი”:

სს `საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა”

სულხან ზუმბურიძე
მმართველთა საბჭოს თავმჯდომარე

“მიმწოდებელი”:

შპს „KENERGI.INC“

კახა გიორგაძე
დირექტორი

დანართი #2

ტექნიკური სპეციფიკაცია

ორმიმართულებიანი ელექტრონული მრიცხველი
A1800AL-P4G-DW-4,

1. აქტიური ელ.ენერგიის სიზუსტის კლასი - 0.5; რეაქტიული ელ.ენერგიის სიზუსტის კლასი - 0.5÷1.0;
2. ორმიმართულებიანი გაზომვა/აღრიცხვა აქტიური, რეაქტიული, სრული ელ.ენერგიების და მაქსიმალური სიმძლავრის მრავალტარიფიან რეჟიმში;
3. სამ ელემენტიანი (ოთხი გამტარი), ნომინალური ძაბვა: 3X57÷58/100, 3X220/380 ვოლტი, ნომინალური (მაქსიმალური) დენი: 1(10), 5(10) ამპერი;
4. ორმიმართულებიანი აქტიური და რეაქტიული ელ.ენერგიების ჩაწერა, სელექტიური ინტერვალით: 1, 2, 3, 5, 6, 10, 15, 20, 30 ან 60 წუთი;
5. ტექნიკური პარამეტრების (ქსელის პარამეტრების) გაზომვა და ჩაწერა:
   - ქსელის სიხშირე
   - თითოეული ფაზის დენი
   - თითოეული ფაზის ძაბვა
   - თითოეული ფაზის აქტიური სიმძლავრე, სამფაზა სისტემის აქტიური სიმძლავრე
   - თითოეული ფაზის რეაქტიული სიმძლავრე, სამფაზა სისტემის რეაქტიული სიმძლავრე
   - თითოეული ფაზის სრული სიმძლავრე, სამფაზა სისტემის სრული სიმძლავრე;
   - დენის ფაზის და ძაბვის ფაზის ვექტორული კუთხე
   - დენის ვექტორული კუთხე თითოეული ფაზისთვის, "A" ფაზის ძაბვის მიმართ
   - თითოეული ფაზის კოეფიციენტის (სიმძლავრის კოეფიციენტი) მნიშვნელობა, სამფაზა სისტემის კოეფიციენტის (სიმძლავრის კოეფიციენტი) მნიშვნელობა

სელექტიური ინტერვალით: 1, 2, 3, 5, 6, 10, 15, 20, 30 ან 60 წუთი;

6. ტექნიკური პარამეტრების (ქსელის პარამეტრების) ჩაწერის შესაძლებლობა ზემოთ აღნიშნული ინტერვალებით (1, 2, 3, 5, 6, 10, 15, 20, 30 ან 60 წუთი), სელექტიური ალგორითმით: შერჩეული ინტერვალის მაქსიმუმის მნიშვნელობა ან მინიმუმის მნიშვნელობა ან საშუალო მნიშვნელობა ან ინტერვალის ბოლო დროის მომენტის მყისა მნიშვნელობა;
7. 30 წთ-იანი ინტერვალის ორმიმართულებიანი აქტიური და რეაქტიული ელ.ენერგიების შენახვის ხანგრძლივობა - 180 დღე;
8. დამატებითი კვების შესაძლებლობა;
9. დამატებითი კვების ბლოკი, მკვებავი ცვლადი ძაბვით - 220 ვოლტი;
10. ციფრული პორტი, RS-232 და RS-485 ინტერფეისებით;
11. "მოვლენათა ჟურნალის" წარმოება;
12. თავსებადობა „ელსტერ მეტრონიკა“-ს პროგრამულ უზრუნველყოფა - „ალფა ცენტრთან“;

შენიშვნა: მრიცხველები შეტანილ უნდა იყოს საქართველოში მოქმედი "გამზომი ხელსაწყოების რეესტრში" და უნდა ჰქონდეს "საქართველოს სტანდარტების ტექნიკური რეგლამენტის და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს" ლუქები და დამოწმების მოწმობა.